

## მომსახურების ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგია

დაფარვის ვალდებულებების განსაზღვრა იყენებს დაფარვის ზონების გარკვეული ზომის უჯრებად ან მონაკვეთებად დაყოფის პრინციპს, რომლებზეც ინდივიდუალურად ხორციელდება დაფარვის ხარისხის პარამეტრების, კერძოდ კი გადმოწერის სიჩქარის დადგენა. მიდგომა სათითაოდ განისაზღვრება თითოეული კატეგორიის ზონისთვის.

### სიჩქარის განსაზღვრა კატეგორიებისთვის:

1. საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიასა და განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულ დასახლებულ პუნქტებში და ტურისტულ ზონებში განლაგებული დასახლებული პუნქტები;
2. საქართველოს 100,000 მეტი მოსახლეობის მქონე და მიმდებარე დასახლებული პუნქტებში;
3. საქართველოს დასახლებული პუნქტებში 15,000-100,000 მოსახლეობით;
4. საქართველოს დასახლებული პუნქტებში 10,000-15,000 მოსახლეობით;
5. საქართველოს სხვა დასახლებული პუნქტებში;
6. პორტებში და აეროპორტებში.

თითოეული ზონა იყოფა 100x100მ უჯრებად (ან ანალოგიური ზომის კოორდინატულ სეგმენტებად განსაზღვრული გრძედით და განედით).

უჯრა ითვლება მომსახურებით დაფარვის მქონედ, თუ მასში ქსელის მომხმარებლისთვის უზრუნველყოფილია მინიმუმ 2 მბ/წმ გადმოწერის სიჩქარე.

ზონის დაფარვის ვალდებულება ითვლება შესრულებულად თუ დატვირთული ქსელის პირობებში:

1. ზონის უჯრების რაოდენობის 90%-ში არის უზრუნველყოფილი მომსახურებით დაფარვა (მინიმუმ 2 მბ/წმ სიჩქარე);
2. „მომსახურებით დაფარვის მქონე“ უჯრების სიჩქარის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა არის არანაკლები მოცემული კატეგორიის ზონისთვის განსაზღვრული მინიმალური სიჩქარისა (30 მბ/წმ);
3. დაფარვის მქონე უჯრების 75%-ში სიჩქარის მნიშვნელობა არის არანაკლები მოცემული კატეგორიის ზონისთვის განსაზღვრული მინიმალური სიჩქარისა (30 მბ/წმ).

უჯრის დაფარვის დასადგენად ჩატარებული გაზომვების განხორციელების შემთხვევაში არანაკლებ სამისა და არაუმეტეს ხუთი გაზომვა უნდა ჩატარდეს უჯრის ნებისმიერ არჩეულ წერტილში. უჯრა ითვლება მომსახურებით დაფარულად თუ სამი გაზომვის დროს მაინც მიღწეულია 2 მბ/წმ და მეტი სიჩქარე.

„მომსახურებით დაფარვის მქონე“ უჯრების სიჩქარის საშუალო არითმეტიკულის და 30 მბ/წმ მინიმალური სიჩქარის მქონე 75% უჯრების დადგენისთვის, თითოეული უჯრის სიჩქარედ ჩაითვლება უჯრაში ჩატარებული არანაკლებ სამი და არაუმეტეს ხუთი ანაზომის მნიშვნელობების მედიანა. (მაგ: 1,2,5,8,11 დან იქნება აღებული 5, ან 2,6,8,12 ის შემთხვევაში  $7 = (6+8)/2$  ).

პორტების და აეროპორტების შემთხვევებში ვალდებულება უნდა შესრულდეს როგორც შენობის გარე ასევე შიდა ტერიტორიაზე. შენობის შიდა ტერიტორიაზე მომსახურების სიჩქარის დადგენა განხორციელდება 50x50 მეტრის უჯრების მიხედვით.

გაზომვები ჩატარდება სტატისტიკურ მდგომარეობაში.

### სიჩქარის განსაზღვრა კატეგორიებისთვის (6-7):

7. საქართველოს ძირითადი საავტომობილო გზები;
8. რკინიგზა.

გზები იყოფა 200მ „მონაკვეთებად“. (ბოლო 200მ-ზე ნაკლები სიგრძის მქონე მონაკვეთი იქნება უგულებელყოფილი). „მონაკვეთი“ ითვლება მომსახურებით „დაფარვის მქონედ“, თუ მასში უზრუნველყოფილია ქსელის მომხმარებლის მინიმუმ 2 მბ/წმ გადმოწერის სიჩქარე.

ზონის დაფარვის ვალდებულება ითვლება შესრულებულად თუ დატვირთული ქსელის პირობებში:

1. მონაკვეთების რაოდენობის 90%-ში არის უზრუნველყოფილი „მომსახურებით დაფარვა“ (მინიმუმ 2 მბ/წმ სიჩქარე);
2. მომსახურებით დაფარვის მქონე მონაკვეთების სიჩქარის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა არის არანაკლები მოცემული კატეგორიის ზონისთვის განსაზღვრული მინიმალური სიჩქარისა (10 მბ/წმ);
3. დაფარვის მქონე მონაკვეთების 75%-ში სიჩქარის მნიშვნელობა არის არანაკლები მოცემული კატეგორიის ზონისთვის განსაზღვრული მინიმალური სიჩქარისა (10 მბ/წმ).

გზებზე დაფარვის ვალდებულებები უნდა სრულდებოდეს როგორც სტატისტიკური გაზომვებისთვის, ასევე მოძრაობის დროს ჩატარებული გაზომვებისთვის.

მოძრაობის დროს ჩატარებული გაზომვების დროს მანქანის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს გზაზე დასაშვებ მაქსიმალურ სიჩქარეს.

მოძრაობის დროს ჩატარებული გაზომვების საფუძველზე გაკეთებულ გაანგარიშებებში და დაფარვის მქონე მონაკვეთების დადგენაში, გამოიყენება მხოლოდ ის მონაკვეთები, რომელზეც დასრულდა სიჩქარის ანაზომის აღება.

მოძრაობისას, თუ მონაკვეთზე აღებულია ერთ ანაზომზე მეტი, მონაკვეთების სიჩქარის საშუალო არითმეტიკულის და მინიმალური სიჩქარის მქონე 75% მონაკვეთების დადგენისთვის გამოიყენება შესაბამის თითოეულ მონაკვეთზე აღებული ანაზომების მნიშვნელობების მედიანა.

მონაკვეთის მომსახურებით დაფარვის დადგენის მიზნით სტატისტიკურ მდგომარეობაში გაზომვების განხორციელების შემთხვევაში, არანაკლებს სამისა და არაუმეტეს ხუთი გაზომვა უნდა ჩატარდეს მონაკვეთის ნებისმიერ არჩეულ წერტილში. მონაკვეთი ითვლება მომსახურებით დაფარულად თუ სამი გაზომვის დროს მაინც მიღწეულია მინიმუმ 2 მბ/წმ სიჩქარე.

სტატისტიკურ მდგომარეობაში გაზომვისას სიჩქარის საშუალო არითმეტიკულის და 10 მბ/წმ მინიმალური სიჩქარის მქონე 75% უჯრების დადგენისთვის, თითოეული მონაკვეთისთვის სიჩქარისთვის აიღება არანაკლებ სამი და არაუმეტეს ხუთი ჩატარებული გაზომვის მნიშვნელობების მედიანა.

რკინიგზა იყოფა 200მ სიგრძის „მონაკვეთებად“. გაზომვები ხორციელდება ავტომობილიდან საავტომობილო გზებზე რკინიგზის გასწვრივ მოძრაობისას ან სტატიკურ მდგომარეობაში ლიანდაგიდან არაუმეტეს 500 მეტრის დაშორებით, ზემოთ მითითებული საავტომობილო გზების დაფარვის ვალდებულების შემოწმების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

### **გაზომვის ჩატარების პრინციპები**

უსადენო დაშვების ქსელის დაფარვის და მომსახურების ხარისხის ვალდებულებების კონტროლის მიზნით, გაზომვები ჩატარდება მობილური ტერმინალების მეშვეობით, სალიცენზიო ვალდებულებით (დაფარვის ვალდებულებით) განსაზღვრულ გეოგრაფიულ ზონებში.

თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული, დაფარვის ვალდებულებების კონტროლი განხორციელდება შენობების გარეთ იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც არის მითითებული სავალდებულო მომსახურებით დაფარვის ზონების აღწერაში.

კომისია უფლებამოსილია განახორციელოს დაფარვის ვალდებულებების კონტროლი იმ დროს, როცა ჩათვლის მიზანშეწონილად. მონიტორინგის პროცედურა შესრულდება სამომხმარებლო ბაზარზე ხელმისაწვდომი ან ექვივალენტური პარამეტრების მქონე მობილური ტერმინალური მოწყობილობებით. ტესტირება ჩატარდება საავტომობილო, ე.წ. „დრაივ-ტესტის“ მეთოდით, გარდა სარკინიგზო მაგისტრალისა და შენობებს შიგნით შემოწმებისას. ტესტირების დროს მობილური ტერმინალი დამონტაჟდება ავტომობილის სალონში, შესაბამისად გაზომვები ჩატარდება იმ უჯრებში ან მონაკვეთებზე, რომლებიც ფიზიკურად ხელმისაწვდომი იქნება „დრაივ ტესტის“ ჩატარებისთვის.

მონიტორინგისას, კომისია იხელმძღვანელებს სალიცენზიო პირობებში გაწერილი დაფარვის ვალდებულებების შესრულების გრაფიკით, რაც გულისხმობს, რომ მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს ლიცენზიის მიღების დღიდან, გრაფიკში მითითებული ვადის ამოწურვისთანავე.

თითოეულ დაფარვის ზონაში ვალდებულების შესრულების დადგენის მიზნით, კომისია უფლებამოსილია მოახდინოს დაფარვის ხარისხის პარამეტრების დადგენა სულ მცირე 95%-იანი სტატისტიკური სანდოობის დონით შემთხვევითი პრინციპის შერჩევის საფუძველზე.

ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, გრაფიკით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე 10 სამუშაო დღით ადრე, მიაწოდოს კომისიას ინფორმაცია მომსახურებით დაფარვის ზონების ფარგლებში იმ ტერიტორიის შესახებ, სადაც სრულდება მომსახურების ხარისხის მოთხოვნილი პირობები, გეოგრაფიული (\*.SHP) ფორმატის ფაილის სახით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია უარს იტყვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებაზე, კომისია უფლებამოსილია თავისი შეხედულების შესაბამისად დაგეგმოს და განახორციელოს სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების შემოწმება.